ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, გასულ კვირას თბილისის იპოდრომმა უმასპინძლა „პრავდის“ XIV საკავშირო მძლეოსნურ კროსს, რომელშიც 1600-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

სურათებზე: 14000 მეტრზე მოასპარეზე ვაჟთა ერთ-ერთი გარბენის მონაწილენი დისტანციაზე; 2000 მეტრზე მორბენალმა ქალიშვილებმა შეჯიბრება დაიწყეს.

ო. გელაშვილის ფოტოები.

ПРАВДА
მძლეოსნური კროსი
1975
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 80 (5370)
23 აპრილი,
ოთხშაბათი.
1975 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Микистров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სიტყვა ეძლევათ ჩემპიონებს

ირბინეთ ყველგან!

◆

ტ. გალსტიანი,
სსრ კავშირის ჩემპიონი 2000 მეტრზე რბენაში.

ძალიან მიყვარს საშუალო მანძილზე რბენა, განსაკუთრებით — კროსი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ნებისყოფის გამომუშავებას. ამ სახეობაში წინათაც ბევრჯერ გამოვსულვარ კარგად, მაგრამ თბილისის იპოდრომი სულ სხვა იყო. აქ გამარჯვების მოპოვება მეტისმეტად ძნელი გახლდათ, ვინაიდან ფინიშზე სსრ კავშირის ჩემპიონატის მხოლოდ სამი მედალი გველოდა, მათში უძვირფასესის მოპოვება კი ყველას სურდა.

უძლიერესთა გარბენში 14 სპორტის ოსტატი და 19 სპორტის ოსტატობის კანდიდატი შევგროვდით. გამარჯვებისთვის საჭირო იყო უპირატესობა სტარტიდანვე მომეპოვებინა, მაგრამ ვერ შევძელი, ვინაიდან სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 21 წლის ვალია გერასიმოვა ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა. ჩემს წინ დიდხანს ლიდერობდა № 89. მე მას ფეხდაფეხ მივდევდი და ხელსაყრელ მომენტს ვეძებდი. ბოლო სწორზე ვალიას დაღლა დაეტყო, გამოუცდელობამ იჩინა თავი: ალბათ, ძალები თანაბრად ვერ გაანაწილა და... წინ გამიშვა.

დანარჩენი ტექნიკის საქმე გახლდათ. იმის მიუხედავად, რომ გერასიმოვაზე რვა წლით უფროსი ვარ, ფინიშისთვის მეტი ძალა აღმომაჩნდა. შეჯიბრების მერე შევიტყვე, რომ ვალიასთვის ფინიშთან დუშანბელ ალა ტესლენკოსაც უჯობნია.

გული მწყდება, რომ საქართველოში, სადაც კროსში ვარჯიში წლის ყოველ დროს შეიძლება, ძლიერი მორბენალი ქალები არ გვყავთ. მე მინდა მათ ერთი რჩევა მივცე: ივარჯიშეთ რაც შეიძლება ხშირად, ინტენსიურად, წვრთნაში დახარჯული დრო არასდროს არ არის დაკარგული. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჯანმრთელობის განმტკიცება დანახარჯს ათმაგად აგინაზღაურებთ. მაშ ირბინეთ ყველგან — იპოდრომზე, სტადიონებზე, ბაღ-პარკებში და სპორტში წარმატებაც არ დააყოვნებს.

ფანტაზიაც საჭიროა

◆

მ. აბდულინი,
სსრ კავშირის ჩემპიონი 14000 მეტრზე რბენაში.

„პრავდის“ კროსებში ყველა დისტანციაზე უძლიერეს მორბენლებს სპორტის ოსტატობა რომ ენიჭებათ, ამან მძლეოსნებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

უფაში 14000 მეტრზე რბენაში მონაწილეობისთვის მზადება იმ დღიდან დავიწყე, როცა შევიტყვე, რომ თბილისის კროსის პროგრამაში ეს სახეობაც შეიტანეს. ვფიქრობდი: თუ ჩემპიონატი მოვიგე, ერთდროულად ბაშკირეთს, უფასა და რსფსრ-ს ყველაზე მეტ ქულას მოუპოვებ, პირადად კი ოქროს მედალსა და „პრავდის“ სამახსოვრო პრიზებს მივიღებ-მეთქი. ესოდენ გრძელ მანძილზე პირველი ჩემპიონობა და პირველი პრიზიორობა ყველა მძლეოსნის ოცნება უნდა იყოს.

უკვე 29 წლის კაცი ვარ, ფანტაზიორობა არ შემეფერება, ამით მძლეოსნობის უძნელეს სახეობაში (იგი მხოლოდ მარათონს ჩამორჩება) ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ უმისოდაც არ შეიძლება. მდიდარი, ოღონდ სინამდვილესთან მიახლოებული ფანტაზია წვრთნასაც ხელს უწყობს.

თბილისში ჩამოსვლისთანავე იპოდრომს ვეწვიე. ტრასა, რომელზეც ჩვენ უნდა გვერბინა, ფეხით შემოვიარე. ყველა კუთხე-კუნჭულს გავეცანი, რომ მეორე დღეს, ასპარეზობისას არ გამჭირვებოდა.

გამარჯვება მსურდა, მაგრამ ნაკლები იმედი მქონდა, ვინაიდან ჩემზე ბევრად გამოცდილი და სახელოვანი მეტოქეები მყავდა: კიეველი კუდინსკი, ნასიბულინი უზბეკეთიდან, ბაიდიუკი მოლდავეთიდან, ვორონეჟელი სვირიდოვი, ლენინგრადელი შარაფეტდინოვი, აგრეთვე, ბევრი ჩემზე ახალგაზრდა...

მე გავიმარჯვე. დაუღალავმა შრომამ, გადამწყვეტი ბრძოლისთვის დიდი ხნის სამზადისმა ამაოდ არ ჩაიარა. მადლობა თბილისს, მის იპოდრომს, იმ ბილიკებს, რომლებიც ჩემთვის ყველაზე სწრაფი გამოდგა.

ახალი ამბები-75

● **მინსკი, 21 აპრილი.** აქ დამთავრდა ბელორუსიის თასის გათამაშება ფარიკაობაში ქალთა გუნდებს შორის. ამ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საპატიო პრიზისთვის იბრძოდნენ 18 ქვეყნის, მათ შორის ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, იტალიის, გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბელორუსიის პირველი გუნდი და უნგრეთის ნაკრები. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 9:7 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. საბჭოთა სპორტსმენებისთვის ეს ტურნირი საუცხოო რეპეტიცია იყო სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის წინ, ხოლო უცხოელმა მოფარიკავეებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის (ივლისი, ბუდაპეშტი) მზადყოფნა შეამოწმეს.

● **ერევანი, 21 აპრილი.** დღეს აქ დაიწყო საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. ხუთი ღირსების რაინდთა წლევანდელ ასპარეზობაში 6 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრება ფარიკაობაში. გაიმარჯვა ი. ადამმა (ჩეხოსლოვაკია). გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო სსრ კავშირის ნაკრები პ. ლედნიოვის, ლ. ივანოვისა და ო. ბულგაკოვის შემადგენლობით.

● ***სოხუმი, 21 აპრილი.*** აქ გრძელდება საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. დღეს წარმატება მოიპოვა ერევნელმა ზ. სიმონიანმა. 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით შეჯიბრებაში მან 388 ქულა დააგროვა, რაც ქულით აღემატება ევროპისა და მსოფლიოს რეკორდებს. სულ ასპარეზობის ხუთი დღის მანძილზე სოხუმის სასროლეთზე ხუთი საკავშირო რეკორდი დამყარდა. ცხრა სპორტსმენმა პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა, 23 მონაწილემ კი ეს ნორმატივი გაიმეორა.

● **ოსტინი (აშშ) 21 აპრილი.** აქ გაიმართა მსოფლიოს ოთხი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალის ტურნირი. გაიმარჯვა ამერიკელმა კ. ევერტმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბ.-ჯ. კინგი (აშშ), ი. გულაგონგი (ავსტრალია) და ო. მოროზოვა (სსრ კავშირი).

● ***ვენა, 21 აპრილი.*** ულიანოვსკის „ვოლგამ“ პირველად მიიღო მონაწილეობა ბალახის ჰოკეიში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. შესარჩევ ტურნირში მას არც ერთი მატჩი არ წაუგია, მაგრამ ფინალში (მაისი, გფრ) ვერ გავიდა. ფინალის საგზური აქ ადგილობრივმა „ვიენამ“ მოიპოვა. „ვიენამ“ და „ვოლგამ“ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 2:2. ულიანოვსკელებმა პორტუგალიის ჩემპიონს აჯობეს ანგარიშით 2:0, ავსტრიელებმა კი პორტუგალიელები უფრო დიდი ანგარიშით დაამარცხეს (3:0) და ამ ერთმა ბურთმა გადაწყვიტა კიდეც ფინალის საგზურის საკითხი.

● **ლას-პალმასი, 21 აპრილი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 12 ტურის შემდეგ ლიდერობს იუგოსლაველი დიდოსტატი ლიუბოევიჩი — 9,5 ქულა. ტალს ჯერჯერობით 6,5 ქულა აქვს, პეტროსიანს — 6 (ერთი გადადებული პარტია). ბოლო სამ ტურში ლიუბოევიჩმა დაამარცხა ესპანელი ფერნანდესი, ბრაზილიელი მეკინგი და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ესპანელ ბელონთან. პეტროსიანმა ზავს მოაწერა ხელი ანდერსონთან (შვეცია) და მოუგო იტალიელ ტატაის. ტალმა წააგო ისლანდიელ ოლაფსონთან. II ადგილზეა მეკინგი — 8,5 ქულა (ყაიმით დაამთავრა პარტია ესპანელ პომართან და დაამარცხა არგენტინელი დებარნო). III ადგილი ანდერსონს უკავია — 7,5.

ასპარეზობენ სტუდენტები

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტდარბაზში მიმდინარეობს შიდასაინსტიტუტო სპარტაკიადა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის ვაჟთა და ქალთა გუნდები.

17 აპრილს ლამაზად მორთულ ინსტიტუტის ეზოში მოეწყო სპარტაკიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. სპარტაკიადის მთავარ მსაჯს, ინსტიტუტის პრორექტორს, დოცენტ ო. ბალიაშვილს პატაკი ჩააბარა დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ო. დიდებულიძემ. შემდეგ ზეიმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას.

მასობრივი თავისუფალი ვარჯიშების შემდეგ მოეწყო „მხიარული სტარტები“ — დვირიდან გადმოგდება, ბაგირის გადაწევა, გოგონათა შეჯიბრება ლელობურთში და სხვ.

შემდეგ ახალგაზრდებმა ინსტიტუტის სპორტდარბაზში გადაინაცვლეს, სადაც საინტერესოდ წარიმართა ფიზიკა-მათემატიკისა და რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური შეხვედრა. დაძაბული ბრძოლა მოიგეს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებმა. III ადგილზე გავიდა აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გუნდი. გოგონათა შორის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფრენბურთელებმა იმარჯვეს, II ადგილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გუნდმა დაიკავა, ხოლო III — მომავალმა ისტორიკოსებმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია გუნდურმა პირველობამ ჭადრაკში. აქ I ადგილზე გავიდნენ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მოჭადრაკეები, II — რუსული ენისა და ლიტერატურის, III — ისტორიის ფაკულტეტების წარმომადგენლები.

სპარტაკიადა გრძელდება. გამარჯვებულ გუნდებს, რომლებიც 26 აპრილს გამოვლინდებიან, გადაეცემათ სიგელები და ვიმპელები.

ვ. დანელია.

ვეხმაურებით მ. მჭედლიშვილის წერილს „იქნებ ასე სჯობდეს“

ვფიქრობთ, ასე ჯობს

გულდასმით გავეცანით „ლელოს“ 1974 წლის 27 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ მ. მჭედლიშვილის სტატიას „იქნებ ასე სჯობდეს“ და მასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სხვა წერილებსაც.

წერილის ავტორი სტატიის დასაწყისშივე მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობა გაუარესდა. ავტორის აზრით, ეს იმის შედეგიც არის, რომ სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმეში ბევრი ნაკლოვანება გვხვდება. იგი ასახელებს ზოგიერთ ამ ნაკლოვანებას და გამოთქვამს თავის მოსაზრებას მათი გამოსწორების ღონისძიებებზე.

ავტორის წერილი მართლაც ყურადღებას იმსახურებს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრამ ამა წლის 20 თებერვალს ეს წერილი განიხილა თავის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც მიწვეული იყვნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლები, სპორტული სკოლების დირექტორები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი მოწინავე ფიზკულტურის მასწავლებელი.

ვიდრე ჩვენს აზრს გავაცნობდეთ მკითხველს, სავალდებულოდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ იმ ძირითად მოთხოვნებს, რასაც სკოლაში ფიზიკურ აღზრდას ვუყენებთ. ეს მოთხოვნები უნდა წარმოადგენდეს ამოსავალ დებულებებს, როცა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობაზე ვმსჯელობთ.

ამ მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელება ფიზიკური აღზრდის მთელი პროცესის, მეცადინეობის ყველა ფორმის სწორ ორგანიზაციას მოითხოვს. ამ საქმეში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს აღმზრდელთა მთელი კოლექტივი.

თუ საქმეს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, სხვა უფლება კი არა გვაქვს, სურათი არცთუ სახარბიელოა. ზოგიერთი წარმატება, თუნდაც თვალსაჩინო იყოს, ვერ ფარავს არსებულ ნაკლოვანებებს.

ზემოხსენებული წერილის ავტორს ხშირად მოჰყავს სხვა რესპუბლიკების დადებითი მაგალითები. არადა, ყველას ახსოვს, რომ ჩვენი რესპუბლიკა ფიზიკური აღზრდის საქმეში ერთ დროს მოწინავე იყო. ახლა სხვები გვისწრებენ, საქმეს უფრო გულისყურით ეკიდებიან. ჩვენ კი დავთმეთ პოზიციები, ხშირად თავის გასამართლებლად ძველ წარმატებებს ვიშველიებთ, თვითკმაყოფილებას ვეძლევით.

რამდენი ღირსშესანიშნავი დადგენილება დარჩა განუხორციელებელი! მიზეზი კი ისაა, რომ შესუსტდა პასუხისმგებლობა, დახმარება და კონტროლი. მთელი ყურადღება ძირითადად ფიზიკური აღზრდის ერთ მხარეზეა გადატანილი და მასაც, ამ მხარესაც თანდათან ეცლება საძირკველი იმის გამო, რომ მოზარდთა ყოველმხრივი ფიზიკური განვითარებისადმი ყურადღება და მზრუნველობა საერთოდ ნელდება.

ფიზიკური აღზრდის ყველა ფორმა და ღონისძიებები, რაც სკოლაში უნდა ტარდებოდეს, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თითქმის მესამედს შეადგენს. თუნდაც მხოლოდ ის მოწმობს, თუ რა წესრიგია საჭირო ამ საქმეში და რაოდენი ყურადღება უნდა დაეთმოს მას.

სამწუხაროდ, ობიექტური და არაობიექტური მიზეზების გამო ბევრ სკოლაში არ სრულდება დაწესებული მოთხოვნები: მეცადინეობის ცხრილი არ ითვალისწინებს ფიზიკური აღზრდის სპეციფიკურობას; ხშირია სხვადასხვა კლასის გაკვეთილების დამთხვევა; ბევრ სკოლაში ფორმალურ ხასიათს ატარებს უფროს კლასებში ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე მეცადინეობა; სასწავლო პროგრამის გასავლელად ბევრ სკოლას დღემდე არ გააჩნია საჭირო ინვენტარი, მოწყობილობა, სამეცადინო ბაზა; მოსწავლეები მეტწილად უფორმოდ არიან გაკვეთილებზე; ბევრ სკოლაში დაბალია მეცადინეობის ორგანიზაციული და მეთოდური დონე, სასწავლო დისციპლინა, გავლილი მასალის ათვისების ხარისხი, მოძრაობის კულტურა. თუ კი მეცადინეობა „როგორმე“ ჩატარდა, საქმე დამთავრებულად მიაჩნიათ; თუ მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა სპორტში წარმატება მოიპოვა, სკოლამ ესა თუ ის საპრიზო ადგილი დაიკავა, ესაა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის საზომიც.

ბავშვთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჩამოყალიბებისთვის ხელსაყრელ ატმოსფეროს სკოლის მთელი კოლექტივი უნდა ქმნიდეს. ამისთვის მასწავლებლებს საკმარისი ცოდნა აქვთ მიღებული, მაგრამ ადგილებზე კლასის ხელმძღვანელთა გეგმებში იშვიათად ვხვდებით მოზარდთა ფიზიკური სრულყოფის ღონისძიებებს; პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად მსჯელობენ ფიზკულტურის საკითხებზე; სკოლის ხელმძღვანელობა და აღმზრდელთა კოლექტივი იშვიათად ესწრებიან ფიზკულტურულ ღონისძიებებს, გაკვეთილებს. ბევრგან ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული, სამეურნეო, საზოგადოებრივი საკითხი და აგიტაცია-პროპაგანდის საქმე ძირითადად მხოლოდ ფიზკულტურის მასწავლებლებს აქვთ მინდობილი.

ვეთანხმებით მ. მჭედლიშვილს და სხვებს, რომ უკეთესია, თუ ფიზკულტურას კვირაში ორ გაკვეთილზე მეტი დაეთმობა, თუ ქალებსა და ვაჟებს ცალ-ცალკე ვამეცადინებთ უმცროსი კლასებიდან, ან ორი მასწავლებელი მოემსახურება ერთ გაკვეთილს და ა. შ. მაგრამ დღეისთვის ამ საკითხის დასმა არარეალურია. სამწუხარო ისაა, რომ პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი დადგენილებები სრულად ვერ გამოვიყენეთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად. გაკვეთილთა რაოდენობის გაზრდას და ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლებას დღეს ვერც ერთი სასკოლო ბაზა ვერ აიტანს.

ახლა მთავარია გონივრულად გამოვიყენოთ არსებული პირობები.

სხვათა შორის, ამ ბოლო ხანს გახშირდა „ექსპერიმენტები“. პროგრამები ისე იცვლება, რომ მთლიანად ვერ სრულდება, არ დასაბუთებულა მათი ავკარგიანობა. სკოლები ისე გადადიან ახალ პროგრამებზე, რომ მათი წინასწარი შემოწმება არ ხდება. სკოლებს წინასწარ არ ამზადებენ ორგანიზაციული და მეთოდური მოთხოვნების ურთიერთშეხამებისთვის.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა I-III კლასების იმ მასწავლებლებთან, რომელთაც სპეციალური ფიზკულტურული მომზადება არა აქვთ. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე ვერ არის კარგად ორგანიზებული. კურსებზე ხშირად ერთი და იგივე ხალხი იგზავნება. სამაგიეროდ, ზოგიერთს ათეული წლების განმავლობაში ერთხელაც არ გაუვლია ეს კურსები. სუსტია ამ მხრივ კონტროლი.

ერთი ხელის მოსმით მოიხსნა პრაქტიკიდან სასწავლო დღის რეჟიმში გათვალისწინებული ფიზკულტურული ღონისძიებები იმ სკოლებშიც კი, სადაც საამისოდ პირობები არსებობს. თურმე იმიტომ, რომ ამ ღონისძიებათა მოწყობა ძნელია.

არადამაკმაყოფილებლად ტარდება სკოლებში კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა. მართალია, ამაზე ბაზების უქონლობაც მოქმედებს, მაგრამ უწინ უარესი პირობები იყო, საქმე კი უკეთ გვქონდა მოგვარებული. ახლა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების რიცხვმა იკლო, წრეებისა და სექციების მეცადინეობა ეპიზოდურად ტარდება. სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი და მისი საბჭო ძალიან ხშირად არაფერს აკეთებენ.

თავისთავად შემუშავდა და დამკვიდრდა აზრი, და ამას ადასტურებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ახლახან გამოცემული ინსტრუქციაც, რომ ეგრეთ წოდებულმა „უფროსმა“ მასწავლებელმა უნდა მოაწყოს და განახორციელოს ყველაფერი, რაც კი ფიზიკურ აღზრდასთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, მან ფიზკულტურის გაკვეთილებიც უნდა ჩაატაროს. მუშაობის ამ ფორმაში ფიზკულტურის დანარჩენი მასწავლებლების, სკოლის ორგანიზატორებისა და სხვა პირების მონაწილეობის შესახებ არაფერია მითითებული.

ძირითადად შეჯიბრებების წინ ტარდება ხანმოკლე მოსამზადებელი მუშაობა. ხშირად სხვადასხვა მასშტაბის, სხვადასხვა სახეობაში ჩატარებულ ღონისძიებებში ერთი და იგივე მოსწავლეები მონაწილეობენ. მათს ასეთ გადატვირთვას კი მუდამ არ მოაქვს კარგი შედეგი. შეჯიბრებათა უმრავლესობა ტარდება ნაკრები გუნდების მონაწილეობით, მოსწავლეთა დიდი მასა იმ შესაძლებლობასაც მოკლებულია, რომ ამხანაგების გამოსვლას დაესწროს, რადგან ეს ღონისძიებები „სხვა სარბიელზე“ ტარდება.

შიდასასკოლო ღონისძიებები, შეჯიბრებები უფრო ხშირად უნდა ტარდებოდეს კლასის ყველა ჯანმრთელი მოსწავლის მონაწილეობით. ასეთი ღონისძიებები მოსწავლეთა ფიზიკური სრულყოფის შემოწმების მთავარ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. მათ უნდა ესწრებოდნენ ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფით დაინტერესებული ხელმძღვანელი თუ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, აღმზრდელთა მთელი კოლექტივი, მოსწავლეთა მშობლები.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის საერთო ფიზიკური განვითარება და მომზადების დონე დაბალია: გვხვდება აშკარად გამოხატული გადახრები ტანის სწორად განვითარების ნორმებიდან; საადრევოდ უქვეითდებათ მოძრაობუნარიანობა, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის გოგონებს, დარღვეულია სხეულის წონისა და ძალების ზრდის პროპორციულობა.

სპორტულმა სკოლებმა თავისებური გავლენა მოახდინეს ამ გარემოებაზე. აქ მომეცადინე მოსწავლეები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელით მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ეს ხელს აძლევს სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელსაც და ხელმძღვანელობასაც. მათ დიდი გარჯის გარეშე შეუძლიათ დაიკავონ „კარგი“ ადგილები.

ხშირად სპორტსკოლაში მწვრთნელებად იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები არიან მიწვეული, რომლის ბაზითაც სარგებლობს სპორტული სკოლა. ჯგუფები ძირითადად ამ სკოლის მოსწავლეებით კომპლექტდება; მათ ეს მასწავლებელი ამეცადინებს, კლასგარეშე მუშაობისთვის, ცხადია, არც მას სცალია და არც ბაზას.

მ. მჭედლიშვილი აყენებს საკითხს: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამაც უნდა მოამზადოს თანრიგოსნები, თუ ეს სპორტსკოლის საქმეა? იგი ამას სპორტსკოლის საქმედ მიიჩნევს. ჩვენ ვფიქრობთ, თუ ფიზკულტურის გაკვეთილები და კლასგარეშე ფიზკულტურული ღონისძიებები გონივრულად მოეწყობა, ყველა მოსწავლე, მართალია, თანრიგოსანი ვერ გახდება, მაგრამ ბევრი მათგანი შეასრულებს პირველი საფეხურების სათანრიგო მოთხოვნებს მაინც, თუნდაც იმ სახეობებში, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული.

მაღალთანრიგოსნებს ძირითადად სპორტსკოლები უნდა ამზადებდნენ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მათ პერსპექტიული მოსწავლეებით უნდა „კვებავდნენ“. ასეთი სისტემა პირველად დადგენილი იყო საქართველოში (განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის ინსპექციის მიერ). მ. მჭედლიშვილი ამ საქმეში უსისტემობას უჩივის და, სამწუხაროდ, სისტემა მართლაც დარღვეულია.

სპორტული სკოლები იძულებული არიან თვითონ ეძებონ „ნიჭიერი“ მოზარდები. სად ეძებენ მათ? სკოლაში. ნიჭიერება ხომ რეგულარული მეცადინეობის პროცესში იჩენს თავს. კლასგარეშე წრეობრივი მეცადინეობა კი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში თითქმის არ ტარდება. მაშ როგორ ხდება სპორტსკოლისთვის კონტინგენტის შერჩევა? „ნიჭიერების“ რაღაც ნიშნებით, რომელიც უცნობია. სპორტული სკოლები ატარებენ ასეთ „ნიჭიერებთან“ იმ მუშაობას, რაც სკოლაში უნდა ტარდებოდეს. ბევრი ვერ ამართლებს მოლოდინს და განთესვაც დიდია.

მ. მჭედლიშვილი გვთავაზობს სპორტსკოლის ოთხსაფეხურიან სტრუქტურას. პირველ ორ საფეხურზე ის საქმე უნდა ვაკეთდეს, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა კეთდებოდეს, ესე იგი, ბავშვები პირველი ორი წლის განმავლობაში უნდა შემოწმდნენ, ივარგებენ თუ არა მესამე, მეოთხე საფეხურებისთვის. ამ ღონისძიების განხორციელება ვფიქრობთ, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კლასგარეშე მუშაობის გაუარესებას.

ახალი ღონისძიება კარგია, თუ საქმის შემდგომ გაუმჯობესებას მოემსახურება და არ გადაიქცევა, თუნდაც ნაწილობრივ, იმის საშუალებად, რომ წარსული დავფაროთ, თავი ავარიდოთ პასუხისმგებლობას იმისთვის, რაც უნდა გვეკეთებინა და თავის დროზე არ გავაკეთეთ.

აღნიშნული მდგომარეობა პირველ ყოვლისა ფიზიკური აღზრდის სათანადოდ დაუფასებლობის შედეგია.

ახლა მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭიროა მკაცრად დავიცვათ ფიზიკური აღზრდის ყველა მოთხოვნა. ეს საქმე საპასუხისმგებლოდ უნდა იქცეს არა მარტო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის, არამედ იმათთვისაც, ვინც ვალდებულია ფიზიკური აღზრდისთვის იზრუნოს, შექმნას საამისოდ საჭირო პირობები და ნორმალური გარემო.

განათლების ორგანოებმა შეუპოვრად უნდა იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელად შესრულებისთვის, არ შეანელონ კონტროლი, დახმარება და მომთხოვნელობა იმ ორგანიზაციებისადმი, რომელთაც ევალებათ ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელება. საჭიროა ზუსტად იყოს რეგლამენტირებული ფიზიკურ აღზრდაში ყოველი ინსტანციისა და თანამდებობის უფლება-მოვალეობანი (თუნდაც განმეორებით) და ამის მიხედვით შეფასდეს მათი მუშაობა, რათა კვლავაც ისე არ მოხდეს, როგორც აქამდე ხდებოდა: ყველა ზემდგომი ინსტანცია დაქვემდებარებულს რომ გადაულოცავდა ყველაფერს, და ბოლოს კი მთელი წარუმატებლობა მხოლოდ ფიზკულტურის მუშაკებს ბრალდებოდათ.

ზუსტად უნდა იყოს დაცული ის წეს-მოთხოვნები, რასაც სკოლაში ფიზიკური აღზრდა ითვალისწინებს. უპასუხისმგებლობად და დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ ისეთი მოვლენები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ სკოლისა თუ სხვა პასუხისმგებელ პირთა უყურადღებობის გამო ისინი დაშვებული იქნენ.

საჭიროა განმტკიცდეს სასწავლო-შრომითი დისციპლინა; სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებულ მეცადინეობებსა და ღონისძიებებში ფორმალურობას, ზერელობას, მოჩვენებითობას, ამაღლდეს მომთხოვნელობა ფიზკულტურის მასწავლებლების მიმართ. მივაღწიოთ ფიზიკურ აღზრდაში მოსწავლეთა მასობრივად და ორგანიზებულად ჩაბმას.

კლასის ხელმძღვანელები პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და მათი ფიზიკური სრულყოფისთვისაც. მათ მტკიცე კონტაქტი უნდა იქონიონ მოსწავლეთა მშობლებთან. საჭიროა პედაგოგიურ საბჭოზე უფრო ხშირად მსჯელობდნენ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების საკითხებზე.

უნდა გამოცოცხლდეს კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა, გამრავლდეს შიდასასკოლო ღონისძიებები. ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა უნდა შეფასდეს სისტემატური და ორგანიზებული მუშაობის შედეგად მოპოვებული მაჩვენებლების — მოსწავლეთა ჯანმრთელობის, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობის, კლასგარეშე ღონისძიებების შედეგების მიხედვით და არა მარტო სპორტულ სარბიელზე მიღწეული წარმატებებით.

ხშირად საჭიროა სათანადო ინსტანციებში სასკოლო ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობა შეფასდეს ცალკე აღებული ერთი რომელიმე სკოლის მიხედვით, კონკრეტულად გამოვლინდეს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ნაკლოვანებათა მიზეზები, მიღებულ იქნეს კონკრეტული ზომები.

საჭიროა მოწესრიგდეს სკოლების შემოწმების სისტემა, რაც ახლა დარღვეულია.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები მეტი გულისყურით უნდა მოეკიდონ კომკავშირელთა მონაწილეობას ფიზკულტურულ საქმიანობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალისტთა მომზადებას, პრაქტიკულ-თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებას.

ეს აუცილებელი მოთხოვნები არ წარმოადგენენ რაიმე ახალს, მაგრამ ისინი უყურადღებოდ რჩებოდნენ ჩვენი მუშაობის გარკვეულ პერიოდში. ახლა კი საჭიროა განსაკუთრებით გამახვილდეს ყურადღება ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე. საქმისთვის, ვფიქრობთ, ასე ჯობს.

ა. რატია,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

დაჯილდოება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სამამულო ფეხბურთში დიდი დამსახურებისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საპატიო სიგელით დააჯილდოვა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე.**

წინ მეორე ტურია

გუშინწინ სვერდლოვსკში გაიმართა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების მეორე წრის 1 ტურის ბოლო შეხვედრები: „ოსვიტა“ (ჩერკასი) — „პეტროგრადეცი“ (ლენინგრადი) 12:12, „სპარტაკი“ (კიევი) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 20:17.

გაგაცნობთ იმ მატჩების შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ გამოგვიქვეყნებია:

სვერდლოვსკი. „სპარტაკი“ — „ოსვიტა“ 22:6, უპი (სვერდლოვსკი) — „ლუჩი“ 16:17.

კიშინიოვი. № 3 სახლსაშენებელი კომბინატი (კიევი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 19:18, № 3 სახლსაშ. კომბ. — „ისკოჟი“ (კიშინიოვი) 17:21, მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — სპორტნაწარმის ფაბრიკა (ბაქო) 18:18, მეტ. ინსტ. — „ჟალგირისი“ 16:17, მეტ. ინსტ. — „ისკოჟი“ 22:19, სპორტნაწ. ფაბრ. — „ისკოჟი“ 15:24.

წინ მეორე ტურია, რომელშიც სვერდლოვსკის ასპარეზობის მონაწილე გუნდები შეხვდებიან „კიშინიოველებს“.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“	13	13	0	0	314—150	26
„ლუჩი“	13	8	2	3	264—211	18
„ისკოჟი“	13	8	1	4	269—246	17
„ჟალგირ“.	13	8	1	4	212—216	17
სპორტნაწ. ფაბრ.	13	6	2	5	225—210	14
№ 3 სახლსაშ. კომბ.	13	6	1	6	229—227	13
მეტ. ინსტ.	13	6	1	6	224—223	13
უპი	13	4	0	9	195—230	8
„პეტრ“.	13	1	1	11	180—269	3
„ოსვიტა“	13	0	1	12	162—282	1

ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები

ცხინვალის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ხალიჩაზე გამოვიდა 170 მოჭიდავე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ნ. კაციაშვილი (თელავი), ვ. ძაგოევი (სამხრეთ ოსეთი), თ. ქინქლაძე (აჭარა), მ. იჩქითიძე, გ. ვეფხვაძე (ორივე — ორჯონიკიძე), რ. ბითაძე (ზესტაფონი), ს. შაგოიანი (აჭარა), გ. ფურანიძე (ზესტაფონი), ნ. პაპუნეიშვილი (აჭარა), თ. თუაევი (სამხრეთ ოსეთი), მ. ებანოიძე (ორჯონიკიძე).

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

რამდენიმე სტრიქონით

✦ სოხუმი

აქ ჩატარდა ტურნირი კალათბურთში. ადგილობრივი სპორტსმენების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ტალინის, კიევის, ერევნისა და რუსთავის გუნდები. გოგონებში გაიმარჯვეს მასპინძლებმა (მწვრთნელი ვ. ხაშბა). ჭაბუკებში უძლიერესი იყო ტალინის კოლექტივი, რომელმაც ფინალში ადგილობრივი კალათბურთელები დაამარცხა.

გ. იაშვილი.

ქართველი გასტელო

პატარაობიდანვე ვერცხლისწყალივით მოუსვენარი იყო. მერეც, რომ წამოიზარდა, თუ გაკვეთილები არ ჰქონდა სასწავლი, ან ეზოში ტრიალებდა და საქმიანობდა, ან მეზობლებს წაახმარდა ხელს. სოფლის ისტორიული ძეგლების ხშირი სტუმარი იყო. განსაკუთრებით ახალდაბის ძველი ციხის ქონგურებზე ასვლა და არწივის გადმოსახედიდან მიდამოს მოთვალიერება უყვარდა. რამდენჯერ უოცნებია: ნეტავი აქედან ამაფრინა, რომ ქვეყანას უფრო მაღლიდან გადმოვხედოო.

ბურთაობა და მტკვარში ცურვა, რბენა და ხტომა, თანატოლებთან ჭიდილი იყო ნიკოლოზ აბრამიშვილის ყველაზე დიდი სიამოვნება. მამამისისთვის მეზობლებს ხშირად უთქვამთ:

— გიორგი! ნამდვილი ვაჟკაცი გეზრდება, ასეთი მოუსვენარი და თან ასე უწყინარი ჩვენს სოფელში სხვა არავინ გვეგულება. ეგ ხასიათი თუ გაჰყვა, მარტო შენ კი არ გასახელებს, მთელ სოფელს გაახარებს.

...შვიდწლედი ახალდაბის სკოლაში დაასრულა. უკვე მოწიფულ ყმაწვილს ფრენის სიყვარული ვერაფერმა დაავიწყა, გადაწყვეტილება ვერავინ შეაცვლევინა და მალე საქართველოს კომკავშირის ბორჯომის რაიონული კომიტეტის შუამდგომლობით პუშკინოს (მოსკოვის ოლქი) საპლანერო სკოლაში განაგრძო სწავლა. სწავლობდა და მუშაობდა ჯერ მიტიშჩის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, მერე პუშკინოს საფეიქრო კომბინატში. კომკავშირშიც იქ შევიდა.

საპლანერო სკოლა ერთ წელიწადში დაამთავრა და 1937 წელს ბორჯომში მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის საპლანერო ჯგუფი შექმნა. მაშინ 19 წლისა იყო. წარმოიდგინეთ, ცად აზიდული კლდეებით შემოსაზღვრულ ბორჯომში პლანერით ფრენა რარიგ ძნელი იქნებოდა, მაგრამ აბრამიშვილისთვის სპორტის ეს სახეობა შეუცვლელი იყო და ისიც თითქმის მთელი წლის მანძილზე არ ჩამოშორებია საქმეს.

შემდეგ ნიკოლოზმა უფრო დიდი მიზნები დაისახა. პლანერისტობა აღარ აკმაყოფილებდა. გორის აეროკლუბის დამთავრებისთანავე სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში ჩაირიცხა და სამამულო ომის წინა წელს იქიდან უმცროსი ლეიტენანტის წოდებით წავიდა სამხედრო სამსახურში, ლენინგრადის მახლობლად.

...1941 წლის აპრილის ერთ დღეს ნიკოლოზი საწვრთნელ მეცადინეობაზე იყო. მოულოდნელად მანქანა გაჯიუტდა. თვითმფრინავი აშკარა დაღუპვის საფრთხის წინაშე იდგა. ახალგაზრდა პილოტმა უდიდესი მოსაზრებულობა გამოიჩინა და თვითმფრინავი ველზე უვნებლად დასვა. ამისთვის ყირიმის საგზურით დააჯილდოვეს, მაგრამ დასვენება არ დასცალდა.

...საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის პირველივე დღიდან ნ. აბრამიშვილი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზეა, ლენინის ქალაქისთვის გამართულ საჰაერო ბრძოლებში მონაწილეობს. აქ მან ომის პირველივე თვეში 41 საბრძოლო გაფრენა შეასრულა, ჰაერში 39 საათი გაატარა და ფაშისტების 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

...როცა ვოლგისპირეთში გადამწყვეტი საჰაერო ბრძოლები იწყებოდა, ახალდაბელი შევარდენი, როგორც უკვე გამოცდილი მფრინავი, სტალინგრადის ფრონტზე გაიგზავნა. გვარდიის კაპიტანმა აბრამიშვილმა ამ ქალაქისთვის ბრძოლაში დიდი სიმამაცე, ნიჭიერი მეთაურის თვისებები, პარტიის, საბჭოთა სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული გამოიჩინა. ვინ იცის, რამდენჯერ აფრენილა ცაში ჯერ კიდევ ჭრილობა მოუშუშებელი და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო დუელი გაუმართავს... ამ ბრძოლებში რამდენჯერ დახმარებია სპორტში მიღებული წრთობა!

...1942 წლის 9 აგვისტო იყო. კალაჩის რაიონში საბრძოლო ფრენიდან აბრამიშვილი ნაწილში დროულად ვერ დაბრუნდა. რა მოხდა? დავალების შესრულების შემდეგ უკან მომავალ ქართველ მფრინავს გერმანელთა ორი „მესერშმიტ-109“ წამოეწია. ნიკოლოზმა უთანაბრო საჰაერო ბრძოლაში მტრის ერთ გამანადგურებელს ცეცხლი წაუკიდა. მეორე, რათა საბჭოთა მფრინავისგან თავი დაეხსნა, დაბლა დაეშვა, მეტი მოუვიდა, შემობრუნება ველარ მოასწრო და მიწას დაენარცხა.

მაგრამ აბრამიშვილს გამარჯვება ძვირად დაუჯდა — მის თვითმფრინავს გერმანელმა ბოლო მომენტში ცეცხლი გაუჩინა. ნიკოლოზმა თავს პარაშუტით უშველა. ამ ბრძოლაში გამბედაობისთვის მან წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა.

ნიკოლოზ აბრამიშვილმა მტრის თოთხმეტი თვითმფრინავი ჩამოაგდო! მისი ყველა საბრძოლო გაფრენის აღწერა შორს წაგვიყვანს, მაგრამ კიდევ ორიოდე შემთხვევა უნდა გავიხსენოთ.

იმავე წლის 26 ნოემბერი იყო. ავიაესკადრილიის მეთაურმა, კაპიტანმა აბრამიშვილმა გარშემორტყმულ ჰიტლერელთა ტექნიკასა და ცოცხალ ძალას დიდი ზარალი მიაყენა. უკან დაბრუნებულმა სულ რაღაც რამდენიმე წუთში მტრის ორი „მესერშმიტ-109“ გაისტუმრა საიქიოს. მაგრამ მისი თვითმფრინავიც დაზიანდა, აბრამიშვილი კი დაიჭრა. აი, სწორედ აქ გამოადგა პლანერისტობა — თვითმფრინავი შინ მშვიდობით მიიყვანა.

უკანასკნელი ბრძოლა ნიკოლოზმა ოთხი დღის შემდეგ გადაიხადა. ექიმებმა დაშავებული მუხლის გამო გაფრენა აუკრძალეს, მაგრამ მან ხომ სამი თვის წინათ, როცა კომუნისტური პარტიის რიგებში შედიოდა, განცხადებაში ჩაწერა: „...მსურს ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მყოფი უმოწყალოდ ვანადგურებდე გერმანელ ფაშისტებს. მტერთან ბრძოლაში არ დავზოგავ არც ძალას, არც სისხლს, თვით სიცოცხლესაც კი, რათა საყვარელი სამშობლო ჰიტლერელი მოძალადეებისგან გავათავისუფლოთ“.

„...ლენინსკის აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავთა ჯგუფი. მას მტრის აეროდრომის დაბომბვა ევალებოდა, სადაც გერმანელთა ასობით სატრანსპორტო მანქანა იდგა. ისინი გარშემორტყმულ ჰიტლერელებს სურსათითა და ტყვია-წამლით ამარაგებდნენ. საბჭოთა თვითმფრინავების დაცვა დაევალა გამანადგურებელთა ჯგუფს, რომელშიც ჩემი და აბრამიშვილის ესკადრილიებიც შედიოდნენ. 9 საათსა და 20 წუთზე ობიექტს ერთად მივუახლოვდით, სწორედ იმ დროს აეროდრომზე დასაშვებად ემზადებოდა მტრის თვითმფრინავთა დიდი ჯგუფი. მტრის გამანადგურებლებმა ბრძოლა გაგვიჩაღეს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვუპასუხეთ. რიცხობრივად მტერი ბევრად გვჯობდა... აბრამიშვილმა ამ შეტაკებაში გერმანელთა ორი თვითმფრინავი მოსპო, მაგრამ მის მანქანას 1300 მეტრის სიმაღლეზე ცეცხლი გაუჩნდა. ხსნა არსით ჩანდა. აბრამიშვილმა ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი მტრის აეროდრომისკენ წაიყვანა, სადაც ტექნიკა დიდი [illegible] იყო. მალე აეროდრომზე [illegible] ცეცხლის უზარმაზარი ალი ავარდა. ასე დაიღუპა ქართველი ხალხის სასახელო შვილი რუსული ქალაქის დაცვისთვის ბრძოლაში“, — იგონებს საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი მაიორი ი. ნოვოჟილოვი.

აბრამიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც კაპიტან გასტელოს უკვდავი გმირობა გაიმეორა. ნიკოლოზ აბრამიშვილის გმირობა უკვალოდ არ დაკარგულა. იგი პოლკის ისტორიაშია ჩაწერილი, ხოლო თვით გმირი მომავალი თაობებისთვის სამშობლოს ერთგულ დამცველთა მაგალითად იქცა.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: ნ. აბრამიშვილი.

სალანოვის მწვერვალები

ზაილიის ალა-თაუს ერთ-ერთ მწვერვალზე სპორტსმენებმა საინტერესო წერილი იპოვეს. მასში ნაამბობია, როგორ დაიპყრო მთამსვლელობის ინსტრუქტორთა ჯგუფმა უსახელო მწვერვალი და პირველამსვლელთა უფლებით მას „თავდაცვა“ უწოდა. წერილში შემდეგ ნათქვამია: „ვეთხოვებით მთებს, მივდივართ სამხედრო კომისარიატში, რათა წერაყინების მაგიერ შაშხანები ავიღოთ ხელში. საბჭოთა ხალხი გაიმარჯვებს. ხელმძღვანელი დ. სალანოვი. 1941 წლის 14 ივლისი“.

ეს წერილი ყაზახეთის მთამსვლელთა კლუბში ინახება.

ასვლის ხელმძღვანელი დ. სალანოვი რესპუბლიკაში ცნობილი ფოტოხელოვანი და მთამსვლელი იყო. იგი მონაწილეობდა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყაზახეთის პავილიონის გაფორმებაში. მას ეკუთვნის მხატვრული ალბომი „ხან-თენგრი“, რომელიც სპორტის მოყვარულებს აცნობს ტიანშანის ამ ღრუბელთამიერი მწვერვალის დამპყრობთა გმირობას. დ. სალანოვი ყაზახეთის დეპეშათა სააგენტოს ფოტოკორესპონდენტი იყო.

რესპუბლიკის მთამსვლელებმა სალანოვის ხელმძღვანელობით ბევრი მწვერვალი დაიპყრეს. ერთ-ერთი მათი სპორტული გამარჯვება ჟურნალისტებს მიეძღვნა: 1938 წლის ზაფხულში მარცხენა თალგარის ერთ-ერთ მწვერვალს (4200 მ) ყაზახეთის დეპეშათა სააგენტოს სახელი ეწოდა.

... „თავდაცვაზე“ ასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ დ. სალანოვი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იგი პანფილოვის დივიზიაში იბრძოდა. 1943 წელს სალანოვი გმირულად დაიღუპა.

ალმაათელი სპორტსმენები სათუთად ინახავენ მამაცი მთამსვლელის, ჟურნალისტისა და მეომრის ხსოვნას. 1946 წელს მთამსვლელთა — სამამულო ომის ვეტერანთა ჯგუფმა დაიპყრო უსახელო მწვერვალი (4880 მ), რომელსაც დ. სალანოვის სახელი უწოდა.

ვ. სინელნიკოვი.
(საქდესის კორ.).
ალმა-ათა.

მძლეოსანთა წარმატებები

ჰავანა, 21 აპრილი. ახალი სეზონის დაწყება შესანიშნავი შედეგით აღნიშნა აქ გამართულ შეჯიბრებაში 25 წლის კუბელმა ბადროს მტყორცნელმა კარმენ რომერომ. მისი მაჩვენებელი — 63,56 მ თავისუფლების კუნძულის რეკორდია, მძლეოსნობის ისტორიაში მერვე შედეგი და წლეულს საუკეთესო მსოფლიოში. დასავლეთ ნახევარსფეროში ასე შორს ბადრო ჯერ არც ერთ ქალს არ უტყორცნია.

პეტრიჩი, 21 აპრილი. ბულგარეთის მძლეოსან ქალთა ნაკრები გუნდის კაპიტანი, გამოცდილი ბირთვის მკვრელი ივანკა ხრისტოვა მძლეოსნობის ისტორიაში მეოთხე ქალია, რომელმაც ბირთვი 20-მეტრიან ზღვარს გადააცილა. ამ პატარა ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში მან 20,04 მეტრზე ჰკრა ბირთვი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე.

ბერლინი, 21 აპრილი. ადგილობრივ მძლეოსანთა პირველ შეჯიბრებაში 24 წლის ვოლფგანგ შმიდტმა (ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში რომში იგი მერვე იყო) 62,20 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ეს შედეგი შმიდტის პირადი რეკორდია და ჯერჯერობით ყველაზე შორი ნატყორცნია ევროპაში.

ლორენსი (კანზასი), 21 აპრილი. ტრადიციულ „კანზასის ესტაფეტებში“ მოასპარეზე სიგრძეზე მხტომელებმა „რვამეტრიანების“ მთელი სერია ჩაატარეს. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა, ნიგერიელმა ჩარლტონ ეჰიზუელენმა 833 სმ აჩვენა, ამერიკელი თეო ჰამილტონი 818 სანტიმეტრზე გადახტა, ხოლო მისი თანამემამულე დენი სეი — 810 სანტიმეტრზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიღწევების „გაფორმება“ არ მოხერხდა, ვინაიდან მხტომელებს ეხმარებოდა ზურგქარი, რომელიც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებულ ნორმას, რაც რეკორდების რეგისტრირების უფლებას იძლევა (2 მ წამში), თითქმის ორჯერ აღემატებოდა.

რასისტებს ბოიკოტს უცხადებენ

ნაირობი, 21 აპრილი. (საქდესი). აქ მუშაობა დაამთავრა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს სესიამ. მან დაადგინა, რომ მძლეოსნები სარბიელზე არ შეხვდებიან სამხრეთ აფრიკის სპორტულ გუნდებს, ვინაიდან იქ რასიზმი და აპარტეიდი მეფობს.

პრეს-კონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა, მარკიზმა ექსეტერმა, რომელმაც კორესპონდენტებს სესიის მუშაობის მთავარი შედეგები გააცნო, განაცხადა, რომ ბოიკოტს საფუძვლად უდევს ფედერაციის 1973 წლის რომის კონგრესის გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ ლ. ხომენკოვმა, რომელიც საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა, საქდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა სესიის მაღალი ორგანიზაციული დონე.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მოსკოვის „დინამოსთან“ — 2 ქულა

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 21 აპრილი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:3 (0:2).

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი (ლოსევი), ნიკულინი, ბუბნოვი, ზიკოვი, პეტრუშინი, დოლმატოვი, მახოვიკოვი, შეპელი (გერშკოვიჩი), პავლენკო, ევრიუჟიხინი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გავაშელი (ესებუა), გუცაევი, რეხვიაშვილი (ყიფიანი).

მსაჯი ე. აზიმზადე (ბაქო).

დუბლიორები — 4:2.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ურთულესი სატურნირო მდგომარეობა, რომელშიც თბილისის დინამოელები იყვნენ მოხვედრილი 21 აპრილისთვის. პირველ ორ ტურში შინ მათ 3 ქულა დაკარგეს, სტუმრად კი ზედიზედ სამი მძიმე მატჩი ჰქონდათ ჩასატარებელი მოსკოვსა და ერევანში. ისე თამაშით, როგორც თბილისში თამაშობდა გუნდი, წარმატების იმედი ნაკლებად გვქონდა...

მაგრამ აი, პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე და პირველი გამარჯვება! გამარჯვება ძველისძველ, ყველაზე მრისხანე, ყველაზე ძნელ მოწინააღმდეგესთან — მოსკოვის „დინამოსთან“, გუნდთან, რომელთანაც ყველაზე უარესი ბალანსი გვაქვს საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ გამარჯვებიდან? უპირველესად ის, რომ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც გვეგონა. თუ გუნდი მაქსიმალურადაა მობილიზებული, თუ მისი თითოეული წევრი განწყობილია გამარჯვებისთვის და გამსჭვალულია კოლექტივიზმის გრძნობით, მას შესწევს ძალა იბრძოლოს იმ დონეზე, რომელიც აკმაყოფილებს გულშემატკივრებს.

მატჩის მეორე ნახევარი ტრანსლირებული იყო ტელევიზიით, ვნახეთ, აგრეთვე, პირველ ტაიმში გატანილი გოლები. თქმა იმისა, რომ თბილისელები ერთი თავით სჯობდნენ მეტოქეს მაშინაც კი, როცა ანგარიში იყო 3:0 მათს სასარგებლოდ, არ იქნებოდა სწორი. ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ და სახიფათო მომენტებსაც საკმარისად ქმნიდნენ, მაგრამ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჰქონია თბილისის „დინამოს“ ამაზე გაცილებით მეტი უპირატესობა კალენდარულ მატჩებში და ხელცარიელი წასულა მინდვრიდან? გაიხსენეთ, თუნდაც, მისი ამასწინანდელი შეხვედრა „ზენიტთან“. თანამედროვე ფეხბურთში გამარჯვება საერთო უპირატესობას იმდენად არ მოაქვს, რამდენადაც ჭკვიანურად დაგეგმილ თამაშს, სწორად ორგანიზებულ იერიშებს და სწრაფ კონტრშეტევებს, შექმნილ ხელსაყრელ ვითარებათა მაქსიმალურ გამოყენებას.

ამ მატჩში კი თბილისელებმა სწორედ ასე ითამაშეს. საკმარისი იყო ზიკოვს და პილგუის შეცდომა დაეშვათ მე-4 წუთზე, რომ გუცაევმა გოლით დასაჯა ისინი. 33-ე წუთზე იმავე გუცაევმა სწრაფი გარღვევა შეასრულა მარცხენა ფლანგიდან, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და კვლავ ისარგებლა პილგუის შეცდომით — შორ კუთხეში გაუგორა ბურთი — 2:0.

69-ე წუთზე საუცხოოდ ითამაშა მ. მაჩაიძემ, გაიმარჯვა პირისპირ ბრძოლაში ნიკულინთან და ბუბნოვთან, რის შემდეგაც ზუსტად დაარტყა კარში — 3:0.

სამი ბურთით უპირატესობა, როცა მატჩის დამთავრებამდე სულ 20 წუთია დარჩენილი, ფეხბურთში უეჭველ გამარჯვებას ნიშნავს. თუ ასე არ მოხდა, ეს სენსაციად ითვლება, რომელიც შემდეგ თავიანთს დავთრებში შეაქვთ სტატისტიკოსებს, მოსკოველებმა კი კინაღამ მოახდინეს ეს სასწაული. ისინი უტევდნენ განუწყვეტლივ, მთელი ძალებით, სტუმრები დროდადრო ბურთის უსისტემო მოგერიებას თუ ასწრებდნენ და 72-ე წუთზე დოლმატოვმა შეძლო ახლოდან თავით გაეტანა პირველი საპასუხო გოლი.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. თბილისელთა დაცვა და ნახევარდაცვა გაჭირვებით ართმევდნენ თავს სიძნელეებს, ხშირად ერთვოდა თამაშში გოგია, სახიფათო მომენტებს თვლა არ ჰქონდა. ბოლოს, 89-ე წუთზე, გერშკოვიჩმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და გოგიას ნახტომი ამაო გამოდგა.

ამ უძნელეს მატჩს და თბილისის „დინამოს“ ესოდენ საჭირო გამარჯვებას ჩვენ არ ვხატავთ ნათელი ფერებით. ბრძოლა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ამ მოგებით ჩვენმა გუნდმა საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა და, რაც მთავარია, დაგვარწმუნა, რომ მას შეუძლია გააუმჯობესოს თამაში, არ დათმოს პოზიციები.

რ. ქორიძე.

• •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	2	2	0	0	5—0	4
„არარატი“	2	2	0	0	4—0	4
„ლოკომოტივი“	3	1	2	0	3—2	4
„ზენიტი“	3	2	0	1	4—4	4
„შახტიორი“	3	1	1	1	6—5	3
„ფახთაქორი“	3	1	1	1	5—4	3
„დინამო“ მ.	3	1	1	1	4—4	3
„დინამო“ თბ.	3	1	1	1	3—3	3
„სპარტაკი“	3	1	1	1	2—2	3
„კარპატი“	2	1	0	1	2—1	2
„ტორპედო“	2	1	0	1	4—5	2
ცსკა	3	1	0	2	1—2	2
„ჩერნომორეცი“	3	0	2	1	2—4	2
„ზარია“	3	1	0	2	2—5	2
„დნეპრი“	2	0	1	1	2—5	1
ასკ	2	0	0	2	0—3	0

საკადრისი სასჯელი

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურში ტაშკენტის „ფახთაქორისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩში ერთმანეთთან გამართული მუშტი-კრივისთვის არბიტრმა გ. ხაჭანიძემ მინდვრიდან გააძევა ტაშკენტელი მოგილნი და ლენინგრადელი გრებენიუკი.

საკავშირო სპორტტექნიკურმა კომისიამ განიხილა ამ ფეხბურთელთა საკითხი და თითოეულ მათგანს 5 თამაშით მისცა დისკვალიფიკაცია.

კიდევ ერთი ნაბიჯი სპარტაკიადამდე

საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის შესახებ ფინიშის შემდეგ

ვემზადოთ,

ვემზადოთ,

ვემზადოთ!

ასეთი ხალხმრავლობა და ძლიერი შემადგენლობა საქართველოს მრავალდღიან ველორბოლას არც ახსოვს. რომ არაფერი ვთქვათ რესპუბლიკის უძლიერეს ველოსიპედისტებზე, რომლებიც ამჯერად თავიანთი სპორტსაზოგადოებების ღირსებას იცავდნენ, ასპარეზობაში ჩაება სამი მეტად ძლიერი კოლექტივი ლიტვიდან, სომხეთიდან და ესტონეთიდან. აქათ უნდა დავუმატოთ ჩვენი პოლონელი სტუმრები ქალაქ ლოძიდან, რომლებმაც, ეჭვგარეშეა, ლაზათი და ინტერესი შემატეს რბოლას.

საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის წინაშე დასახული იყო ერთი კონკრეტული ამოცანა: მზადება და ძალთა შემოწმება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის წინ. ამ ამოცანის განხორციელებას ისახავდა მიზნად ასპარეზობის მონაწილე ყველა კოლექტივი (რა თქმა უნდა, პოლონელი სტუმრების გარდა). როგორც შეჯიბრების საბოლოო შედეგებმა ცხადყო, მეტნაკლებად ყველა კმაყოფილია რბოლის შედეგებით.

კმაყოფილებმა დატოვეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ლიტვის ველოსიპედისტებმა. თბილ მოგონებებთან ერთად მათ შინ წაიღეს ორი მთავარი პრიზი — გუნდურ და პირად შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის. ლიტვის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. კაზლაუსკასი კმაყოფილია რბოლის შედეგებით, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის გზებზე მან, ჯერ ერთი, შეამოწმა მთავარი გუნდის მზადყოფნა და, ამასთან ახალგაზრდებსაც მოუსინჯა ძალა.

— არა მგონია, — თქვა მან რბოლის დამთავრების შემდეგ, — რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში სპორტსმენებს უფრო რთული ამოცანების გადაჭრა მოუხდეთ, ვიდრე ამ მრავალდღიან რბოლაში. საქართველოს ტრასების რთული პროფილი მუშაობის შემოწმების ჩინებულ საშუალებას იძლეოდა.

შედეგებს ესტონელებიც ვერ დაემდურებიან. III გუნდური ადგილი იმის მაჩვენებელია, რომ ესტონელი ველოსიპედისტები იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ვერ ჩამოვიდა ამ კოლექტივის რამდენიმე ლიდერი, მაგრამ ისინი, ვინც ასპარეზობდა, ცხადია, უმაღლესი კლასის ოსტატები არიან. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ახალგაზრდები გ. პიაერი და უ. ტომა. პირველი ოთხჯერ იყო პრიზიორთა შორის (მოიგო ერთი ეტაპი, ორჯერ იყო მეორე და ერთხელ მესამე), მეორემ კი II საპრიზო ადგილი დაიკავა V ეტაპზე.

სომხეთის ველოსიპედისტთა ძალა საყოველთაოდ ცნობილია. ამ ველორბოლას ისინიც განიხილავდნენ, როგორც სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს და, ვფიქრობთ, მიზანს მიაღწიეს. სომხეთის გუნდის ლიდერმა, გამოცდილმა ნ. ავეტისიანმა რბოლა უფერულად დაიწყო, მაგრამ თანდათან გამოასწორა მდგომარეობა, იგი ერთხელ ეტაპზე მეორე იყო, ერთხელ — მესამე, VI ეტაპის შემდეგ კი „თვალში ჩაუჯდა" ლიდერს და საბოლოო ჯამში II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

რამდენიმე სიტყვა საქართველოს ველოსიპედისტებზე. ჯერ საერთო შთაბეჭდილება: რბოლამ ცხადყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ველოსიპედისტები მეტ- ნაკლებად გაუთანაბრდნენ საკავშირო სტანდარტებს. ეს უდავოდ მისასალმებელი ნახტომია, რომელიც იმედის რაღაც ნაპერწკალს წარმოშობს. საქართველოს სპორტსმენები ამ ასპარეზობაში გამოირჩეოდნენ აქტიურობით და ხშირად ტონსაც აძლევდნენ ბრძოლას ამა თუ იმ ეტაპზე.

ჩვენ მოგვიხდა ჩამოსულ მწვრთნელებთან საუბარი რბოლის შემდეგ. ყველამ ერთხმად აღნიშნა საქართველოს ველოსიპედისტთა ოსტატობის უცილობელი ზრდა. ეს სასიამოვნოა, მაგრამ არამც და არამც არ იძლევა რაიმე კონკრეტული დასკვნის უფლებას. საგზატკეცილო ველორბოლა იმდენად რთული და მერყევი სახეობაა რომ ყოველ ნაბიჯზე გაუთვალისწინებელ სირთულეებს და მოულოდნელობებს წარმოშობს. ამიტომ ველოსიპედისტი მუდამ ყურადღებით უნდა იყოს, შესაძლებლობათა ოდნავ ზედმეტად შეფასებაც კი შესაძლოა საბედისწერო გამოდგეს.

საქართველოს მრავალდღიან ველორბოლაში პრიზიორთა შორის ყველაზე ხშირად ამოიკითხავდით ბურევესტნიკელი ა. ხომუტოვის გვარს. იგი მართლაც კარგ სპორტულ ფორმაშია, იბრძოდა გაბედულად და, რაც მთავარია, ინიციატივით. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ხომუტოვმა ერთხელ ეტაპი მოიგო, ერთხელ II ადგილი დაიკავა და ორჯერ — III. ხომუტოვი 3 ეტაპის შემდეგ ლიდერობდა რბოლას და მხოლოდ VI ეტაპზე წარუმატებლობამ გამოსთიშა ლიდერთა რიგებს.

სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა დ. კობაიძემ მებრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა. იგი რბოლის ლიდერთა შორის პირველად გამოჩნდა მესამე ეტაპის შემდეგ, მერე მიუახლოვდა ლიტველ ა. ვაიტკუსს და ბოლომდე მისი აჩრდილი იყო. III ადგილი მრავალდღიან ველორბოლაში ამ ნიჭიერი ველოსიპედისტის უდავო შესაძლებლობებზე მეტყველებს.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზრდა არმიელი შ. ჩქარეული (საერთო IV ადგილი) და გამოცდილი დინამოელი ვ. ფეტისოვი (V ადგილი). თითო ეტაპი მოიგეს ა. ცხოვრებაძემ და ი. რთველიაშვილმა. კარგად იასპარეზეს ვ. ივანოვმა და ახალგაზრდა რ. წაქაძემაც. მაგრამ ჩვენი მთავარი ყურადღება მაინც იმ სპორტსმენებისკენ იყო მიპყრობილი, რომლებიც რესპუბლიკის ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ. ესენი არიან ბურევესტნიკელები ხომუტოვი, კობაიძე, ა. კოსტეცკი, არმიელები ჩქარეული, გ. პლოხინოვი და სპარტაკელი რთველიაშვილი. ეს იყო სიმბოლური გუნდი, რომელმაც ამ რბოლაში ბრწყინვალედ იასპარეზა და საბოლოო ჯამში ყველა რეალურ მეტოქეზე უკეთესი დრო აჩვენა. აი, რას ემყარება ჩვენი ოპტიმიზმი და იმედები მომავალ სასპარტაკიადო ბრძოლებში.

ორიოდე სიტყვა ველორბოლის ორგანიზაციაზე. პირველ ყოვლისა ქებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს ავტოინსპექციის საქმიანობა, რომელმაც ყველაფერი იღონა ამ რთული შეჯიბრების ნორმალურად და უხიფათოდ ჩატარებისთვის. რესპუბლიკის ავტოინსპექციის მუშაკთა ყურადღება და თავდადება (ამ ინსპექციის უფროსის მოადგილის დ. სოღორაშვილის მეთაურობით) გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

ბევრმა ქალაქმა ველორბოლის მონაწილეებს დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნა. ამ მხრივ სამაგალითოა სამტრედია. ბრძოლით დაღლილი სპორტსმენები შეუფერხებლად მოათავსეს სასტუმროში. იქ ყოველ ნომერში სპორტსმენებს ელოდათ ცივი ლიმონათი, ხილის წვენი და, რაც მთავარია, სითბო. ეს ყურადღება ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალია იმ ბრძოლის ფონზე, სადაც ყველაფერი მცხუნვარე მზის ქვეშ, ზეკარებზე და ატალახებულ გზატკეცილებზე წყდება. მაგრამ ასეთი უმნიშვნელო დეტალები ქმნიან განწყობილებას, რწმენასა და ხალისს. ისინი რაზმავენ სპორტსმენებს ახალი მძიმე გამოცდებისთვის.

ნ. ბუბუშვილი.

• • •

სურათებზე: საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის ჩემპიონი ალფრედას ვაიტკუსი; ლიტვის I ნაკრები (მარცხნიდან) — ვ. პაშკაუსკასი, ვ. ბერენკისი, ა. ვაიტკუსი, პ. კნეჟა, ვ. გრიბაუსკასი, ბ. ჩელკისი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სათხილამურო სპორტი

ობერსტდორფი. აქ გაიმართა სამთომთხილამურეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. ქალთა შორის გიგანტური სლალომი მოიგო ცნობილმა სპორტსმენმა მ. ჟაკომ (საფრანგეთი) — 1.14,39. II ადგილი დაიკავა რ. მიტერმაიერმა (გფრ) — 1.14,62, III — ს. ნელსენმა (აშშ) — 1.14,66. ვაჟთა შორის იმარჯვა ჰ. ჯონსმა (აშშ) — 2.12,13. ფრანგი მ. ფურიე (2.12,86) და იტალიელი ჰ. პლანკი (2.13,01) II და III ადგილებზე არიან.

პიანკავალო. დასასრულს უახლოვდება ევროპის თასების გათამაშება სამთომთხილამურეთა შორის. აქ მორიგ ტურში შვეიცარიელმა ნადიგმა მოიგო გიგანტური სლალომი, მაგრამ ლიდერობას მაინც კუზმანოვა (ჩეხოსლოვაკია) ინარჩუნებს. მას 120 ქულა აქვს. ავსტრიელი ელმერი კუზმანოვასთან 3 ქულას აგებს.

კასპოჯიო (იტალია). ვაჟები აქ ევროპის თასისთვის სპეციალურ სლალომში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა ამპლეცმა (იტალია). ახლა ამ სპორტსმენს 171 ქულა აქვს და ლიდერობს. II ადგილზეა ენგშლერი (ავსტრია) — 125, III — სოხორი (ჩეხოსლოვაკია) — 101.

ცურვა

ლას-პალმასი (ესპანეთი). ლათინური ქვეყნების მოცურავეთა თასისთვის აქ გამართულ შეჯიბრებაში ბრაზილიელმა ჯ. მადრუგამ სამხრეთამერიკელთა შორის პირველმა შეძლო 1500 მეტრი 16 წუთზე უკეთეს დროში გაეცურა. მისი შედეგი — 15.56,2 — ბრაზილიისა და სამხრეთ ამერიკის რეკორდია.

მძლეოსნობა

ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნის მსოფლიო რეკორდების ცხრილში 15 წლის მანძილზე ჩვიდმეტი შესწორება მოხდა. მიღწევები ყველაზე მეტჯერ ჯ. სილვესტრმა (აშშ) განაახლა. იგი ექვსჯერ გახდა მსოფლიო რეკორდსმენი. მისმა თანამემამულემ ა. ორტერმა რეკორდი ოთხჯერ გააუმჯობესა, ლ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) — სამჯერ. დღეისთვის მსოფლიო რეკორდი 68,48 მეტრია, იგი ამას წინათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენმა ჯონ ვან რენენმა დაამყარა. ბადროს ტყორცნის ისტორიაში რენენზე უკეთესი შედეგებიც ყოფილა ნაჩვენები. მაგალითად, 1972 წლის 10 სექტემბერს მალმოში შვედი რ. ბრუხის ბადრომ 68,58 მეტრზე იფრინა, 1971 წელს სილვესტრმა ორჯერ გადააცილა 70-მეტრიან ზღვარს — 16 მაისს ლანკასტერში 70,38 მ აჩვენა, 10 ივნისს კი ისტადში ბადრო 70,04 მეტრზე ტყორცნა, მაგრამ არც ერთი ეს შედეგი მსოფლიო რეკორდად არ აღიარეს, ვინაიდან ასპარეზობისას შეჯიბრების ყველა წესი არ იყო დაცული.

რომი. იტალიის მძლეოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა, მწვრთნელთა VIII კონგრესს, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართება, წინადადება წარუდგინოს, რომ ქალთა შორის 3000 მეტრზე რბენა 5000 მეტრზე ასპარეზობით შეიცვალოს, ამასთან, შემოიღონ ქალთა მარათონული რბენა. ჟურნალ „ატლეტიკა ლეჯერის" რეფერენტს, რბენის სპეციალისტს ჯ. კლემენტეს ამ წინადადების სასარგებლოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები ჰქონია.

ა. კარპოვის „მეფედ კურთხევა"

23-27 აპრილს მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყობა საკავშირო ტურნირი ჭადრაკის ელვისებურ თამაშში. ორგანიზატორები საასპარეზოდ 40-მდე დიდოსტატსა და უძლიერეს ოსტატს ელიან.

24 აპრილს დასვენების დღეა. ამ დღეს მოჭადრაკეები კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მონაწილეობას მიიღებენ ა. კარპოვის მსოფლიო ჩემპიონად კურთხევაში.

ელვისებური თამაშის საკავშირო შეჯიბრებაში ითამაშებენ თბილისელი მოჭადრაკეებიც — დიდოსტატი ე. გუფელდი და საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი.

[illegible] ტელეფონით

პაიკთა მოსაგებ ენდშპილში

ვრნიაჩკა-ბანიის (იუგოსლავია) ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელშიც ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც თამაშობს, გუშინწინ X ტური გაიმართა. აი, რა უამბო მოჭადრაკე ქალმა „ლელოს" კორესპონდენტს:

— X ტურში რუმინელ საერთაშორისო ოსტატს ვიქტორ ჩოკილტიას შევხვდი. თბილისში, გოგლიძის მემორიალში მან პარტია მომიგო. ახლა დიდი მონდომებით ვიბრძოლე რევანშის ასაღებად. თამაში ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა და პარტია პაიკთა ენდშპილში გადაიდო, ვფიქრობ, ჩოკილტია თამაშის განუახლებლად დამნებდება, ვინაიდან ორი ზედმეტი პაიკი მაქვს.

რიგელმა დიდოსტატმა გიპსლისმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ დიდოსტატ ტრინგოვთან. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, რაიჩევიჩი — კნეჟევიჩი, ჩაილიჩი — ოსტოიჩი (ოთხივე — იუგოსლავია) და პადევსკი (ბულგარეთი) — იანსა (ჩეხოსლოვაკია). სამი პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ გიპსლისს 6,5 ქულა აქვს, ოსტოიჩს (იუგოსლავია) — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, მარტინოვიჩს — 5,5 და 2 გადადებული პარტია.

შავების უპირატესობით

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXXIV ჩემპიონატის ფინალში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, V ტური გაიმართა.

ამ დღეს თეთრი ფიგურების სამ წინამძღოლს უსიამოვნება შეემთხვა, თუმცა ამბობენ, თეთრებით თამაში იოლიაო. გ. ცქიტიშვილი დამარცხდა ნ. ჩახოიანთან, თ. ლომაია — ზ. მიქაძესთან (ყველა — თბილისი) და გ. გოგიტიძე (ბათუმი) — დ. ქეთიმიშვილთან. მხოლოდ ა. ბუსლაევმა (ორივე — თბილისი) „ასახელა" თეთრი ფიგურები — მოუგო აფხაზეთის ჩემპიონს ა. ჯობავას (გალი).

ყაიმით დამთავრდა მოჭადრაკე გოგონას მ. ჩიბურდანიძისა (თბილისი) და ოსტატ ა. ტუზოვსკის (სოხუმი) შეხვედრა. ოთხი პარტია გადაიდო.

ამ დღეს ლიდერთა განლაგებაში ცვლილება არ მომხდარა. ზ. სტურუას (თბილისი) 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, 3,5-3,5 ქულა დააგროვეს ა. ბუსლაევმა და ა. ტუზოვსკიმ.

ლიდერთა რბოლა

ზუგდიდი, 22 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ფინალში, რომელიც აქ მიმდინარეობს, გუშინ V ტური შედგა.

თბილისის ჩემპიონმა ნ. იოსელიანმა დაამარცხა თ. ნემსაძე (ზუგდიდი). პირველი გამარჯვება იზეიმა ქუთაისელმა თ. მესხმა, რომელმაც ზ. ლაღიძეს (ტყიბული) მოუგო. საქართველოს სამგზის ჩემპიონმა ც. კახაბრიშვილმა (თბილისი) სძლია ხობელ რ. ლაგვილავას, ხოლო ნ. ხუბულურმა (თბილისი) — მახარაძელ ნ. იმნაძეს.

საქართველოს ექს-ჩემპიონის, ოსტატ თ. ხუგაშვილისა და მ. წერეთლის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ, აგრეთვე, ე. ბაშინურიძე და ქ. მელაშვილი (ორივე — თბილისი).

მძაფრი თამაშის შემდეგ რთულ მდგომარეობაში გადაიდო ც. ქასოშვილი (გორი) — ნ. გურიელის (თბილისი) პარტია.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. ხუბულური — 4 ქულა, ც. ქასოშვილი — 3 ქულა და 2 გადადებული პარტია, თ. ხუგაშვილი, ნ. იოსელიანი, ც. კახაბრიშვილი, ნ. გურიელი — 3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია.

მ. ძნელაძე,
ჩემპიონატის მსაჯ-მდივანი.

კლასიკური ჭიდაობა. სპორტის სასახლე. 26-28 აპრილი. საკავშირო ტურნირი. მონაწილეობენ: საქართველოს, რსფსრ-ს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და ლენინგრადის უძლიერესი ათლეტები. დასაწყისი 12 და 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08740